

უკ (УДК)

შალვა მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური მოღვაწეობა (ხევსურული, ფშაური და თუშური ჩანაწერების საფუძველზე)

ნატალია ზუმბაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის
საერთაშორისო ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
თბილისი, 0108, გრიბოედოვის 8/10

ანოტაცია:

ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, შალვა მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობის სხვადასხვა მხარე, შეფასებულია მისი ღვაწლი მშობლიური ხალხური მუსიკის ძიების, შეკრების, პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში.

მუსიკოლოგიური კვლევა პირველად არის კონცენტრირებული შ. მშველიძის საექსპედიციო ჩანაწერებზე: ხევსურულზე, ფშაურსა და თუშურზე (1929), რაც შემთხვევითი არ არის – ისინი აღმოსავლეთ საქართველოს მთის ამ კუთხეების მანამდე თითქმის უცნობ მუსიკალურ ყოფას ააშკარავენ და განსაკუთრებით ღირებულია კომპოზიტორის სხვადასხვა ჩანაწერებს შორის.

ნაშრომში პირველად არის შესწავლილი შ. მშველიძის მიერ ჩაწერილი და ნოტირებული ნიმუშები, შესული სხვადასხვა ავტორის მიერ მომზადებულ გამოცემებში; საგანგებო ადგილი ეთმობა აქამდე უცნობ საექსპედიციო დღიურს, რომელიც თავის ავტორს, სხვა ყველაფერთან ერთად, ნიჭიერ მთხრობლადაც გვაცნობს.

წინამდებარე სტატია შ. მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობის საფუძვლიანად შესწავლისა და სათანადოდ შეფასების პირველი მცდელობაა. კომპოზიტორის საექსპედიციო ფონოჩანაწერებისა და დღიურის გაანალიზება, მის მიერ გაშიფრული ნიმუშების ხელნაწერების კვლევა და სხვადასხვა პუბლიკაციაში წარმოდგენილ სანოტო მაგალითებთან შედარება (თუნდაც მხოლოდ ხევსურულ, ფშაურ და თუშურ მასალებზე დაყრდნობით) სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ შ. მშველიძის განუზომელი წვლილი ეთნომუსიკოლოგიის სფეროშიც მოღვაწეობად შევაფასოთ.

საკვანძო სიტყვები: შალვა მშველიძე, ეთნომუსიკოლოგია; ხევსურული, ფშაური და თუშური ჩანაწერები; ხალხური სიმღერის ნოტირება და დამუშავება; ექსპედიცია, დღიური, ლილვაკების კოლექცია.

შესავალი

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, შალვა მშველიძის, ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობა საფუძვლიანად შესწავლილი და სათანადოდ შეფასებული ჯერ კიდევ არ არის. ერთდერითი მკვლევარი, რომელიც შ. მშველიძით, როგორც ფოლკლორისტი, საგანგებოდ დაინტერესებულა, ვლადიმერ ახოზაძეა. მართალია, ვ. ახოზაძის 1960-იანი წლების ხელნაწერი სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნულ საკითხს უფრო ზოგადად მიმოიხილავს და არ/ვერ ეხება შ. მშველიძის ფოლკლორისტული საქმიანობის ყველა მხარეს, მაგრამ მკვლევრის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თუნდაც

საკითხის დაყენების გამო. რაც მთავარია, ვ. ახოზაძე სამართლიანად საუბრობს შ. მშველიძის მიერ შეკრებილ დიდძალ მასალაზე, სწორად აფასებს მის დიდ ღვაწლს, როგორც ფოლკლორისტიკის, ვინაიდან „მან ჩვენს ერს შემოუნახა ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ნიმუშები“ [1]. ვ. ახოზაძე სამართლიანად წუხს იმის გამო, რომ შ. მშველიძის მიერ შეკრებილი მასალა არ არის გამოქვეყნებული, თუმცა გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მასალის ნოტირებას, რადგან მიაჩნია, რომ ნოტებზე გადატანილ ნიმუშებს „დაკარგვის საფრთხე არ ემუქრება“. აქ მცირე კომენტარია საჭირო: საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ეგონოს, თითქოს დაკარგვას გადარჩენილი მხოლოდ ნოტირებული ნიმუშებია, რაც სწორი არ არის: მთავარია ხალხური ნიმუშების აუდიოჩაწერა, მათი პირველწყაროს სახით დოკუმენტირება, და არა გაშიფვრა, რადგან გაშიფრული, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, პირველწყაროს მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში ასახავს.

1940-იან წლებში შ. მშველიძის ფოლკლორისტულ საქმიანობას გაკვერთს შეეხო ლადო დონაძე. იგი აღნიშნავს, რომ ერთხანს ქართული ხალხური სიმღერა შ. მშველიძისთვის „თეორიული კვლევა-ძიების საგანი იყო და მან ამ სიმღერის ანალიზის ფრიად საინტერესო ცდები მოგვცა“ [2].

შ. მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობისადმი ნაკლები და შეზღუდული ინტერესი მით უფრო ძნელად გასაგებია, რომ კომპოზიტორი მიეკუთვნება ქართული მუსიკალური კულტურის იმ მოამბგეთა რიცხვს, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს მშობლიური ხალხური მუსიკის ძიება-შეკრების, გაცნობა-პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეს.

შ. მშველიძისთვის ქართული ხალხური მუსიკა იყო არა მარტო შემოქმედებითი შთაგონების მასაზრდოებელი ძირითადი წყარო, არამედ – ცხოვრების განუყრელი ნაწილიც. შეიძლება ვისაუბროთ ხალხურ მუსიკასთან შ. მშველიძის ურთიერთობის სხვადასხვა მხარეზე და ეს ის მხარეებია, რომლებიც, ჩვეულებრივ, ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობისთვის არის დამახასიათებელი. წინამდებარე კვლევაში ეს მხარეები სრულად ვერ აისახება, თუმცა მათზე ცალ-ცალკე შევჩერდები.

შალვა მშველიძე – მომღერალი და ლოტბარი

შ. მშველიძემ ღრმად იცოდა ქართული ხალხური მუსიკა. სიმღერა ბავშვობიდან უყვარდა და იტაცებდა. ცნობილია, რომ მოწაფეობის წლებში მას ასწავლიდა ქართული მუსიკის დიდი მოამბგე – ია კარგარეთელი. ხაშურის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მღეროდა სხვადასხვა გუნდში. 1918 წლიდან მუშაობდა სურამისა და ხაშურის ხალხური გუნდების ხელმძღვანელად. ამავე პერიოდში მოხუცი გლეხებისგან სწავლობდა სიმღერებს, რომლებიც შემდეგ გუნდში გადაჰქონდა. 1919 წლის ზაფხულში ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, სურამში სამკურნალოდ ჩასული ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით შეისწავლა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის (მეგრული, გურული, იმერული, აფხაზური, სვანური და რაჭული) სიმღერები. სწავლობდა აღმოსავლურქართულებსაც. იყო ბევრი სიმღერის დამწყები. ხშირად მღეროდა მოძახილსაც. შ. მშველიძის, როგორც მომღერლისა და ლოტბარის, უნარებსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს ისიც, რომ 1920

წელს სურამიდან გამგზავრების წინ ძ. ლოლუამ თავისი 80-კაციანი გუნდის ხელმძღვანელობა მას, 16 წლის ახალგაზრდას, გადააბარა.

1947-1950 წლებში შ. მშველიძე სათავეში უდგას საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. საქართველოს პირველი არხის გადაცემა „რადიომუზეუმი“ საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერების ფონოჩანაწერებს სახელმწიფო ანსამბლის შესრულებით შ. მშველიძის ხელმძღვანელობის პერიოდში. მათი გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ იმ მცირე გამონაკლისების გარდა, როცა სიმღერის მაღალი ხმები აუცილებლად იმპროვიზაციულობას მოითხოვს, ყველა სხვა შემთხვევაში სახელმწიფო ანსამბლის შემსრულებლობა ისეთივეა, როგორც აკადემიური საგუნდო კოლექტივისა. სიმღერის დაწყება სამივე ხმის მიერ ერთდროულად, სავარაუდოდ, დირიჟორის მითითებით; მაღალი ხმების ჯგუფურად მღერა; ერთი და იმავე დასახელების რამდენიმე საკრავის ერთდროულად გამოყენება; სიმღერის შესრულების უჩვეულო, არატრადიციული ფორმა და მანერა; საწესო სიმღერაში ვერბალური ტექსტის ძირეულად შეცვლა; რეპერტუარში ავტორისეული კომპოზიციების არსებობა – ეს ყოველივე მეორეულ შემსრულებლობაზე მიუთითებს. ამისი ერთ-ერთი მაგალითია გურული სატრფიალო სიმღერა „შალვა ჩემო“ [3].

როცა „მცირე გამონაკლისები“ ვახსენე, პირველ რიგში, კახურ სუფრულ „ჩაკრულოს“ ვგულისხმობდი. ეს სიმღერა, მაღალი ხმების სოლოდ შესრულებისა და ვანო მჭედლიშვილის მიერ არაჩვეულებრივად ნათქვამი შუა ხმის წყალობით, უფრო პირველად შემსრულებლობას უახლოვდება [4]. საყურადღებოა, რომ აქ სოლისტები მღერიან სიმღერის ბოლო მონაკვეთსაც (ტექსტიდან „ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო“), რომელიც ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარში ჯგუფური შესრულებითაც დამკვიდრდა.

შალვა მშველიძის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერები

ქართული ხალხური სიმღერების დამუშავებაზე შ. მშველიძე ნაყოფიერად მუშაობს სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელობის პერიოდში. როგორც ვ. ახოზაძე წერს, ამ დროს უკვე საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი სიმღერებს „უფრო სხვა თვალთა უყურებს“, ვიდრე ადრე უყურებდა და „დიდი სიფრთხილით“ ამუშავებს თავის ჩაწერილ ნიმუშებს, რომელთა შორისაა: „თუმის ქალები“, „ფშაური“, „ზვიადაური“, „ხევსურული ნანა“, „სვანური ნანა“, „გურული ნანა“, „კახური მგზავრული“, „აჭარული მაყრული“, „კუჩხა ბედიწერი“, „ოროველა“, „შალვა ჩემო“ და სხვ. დამუშავებული სიმღერების უმრავლესობა შ. მშველიძეს საკუთარ ოპერებში აქვს შეტანილი [5]. ერთ-ერთი მათგანია „ფხოური სადიდებელი“ (შერეული გუნდისათვის ფორტეპიანოს თანხლებით) ოპერიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ [6]:

შ. მშველიძე, „ფხოური სადიდებელი“

ფხოური სადიდებელი
შ. მ. მშველიძის
ტექსტი: ნაზარაძე

**ПХОВСКАЯ
ВЕЛИЧАЛЬНАЯ**
Муз. Ш. Мшвеладзе
Текст: Народный
Русс. пер. И. Архангелова

Maestros
Soprano
Alto
Tenor
Bass
Piano

დო - დე - ბა და ვო - სა და დო - დე -
Вое - де - ба да во - са да до - де -

დო - დე - ბა და ვო - სა და დო - დე -
Вое - де - ба да во - са да до - де -

დო - დე - ბა და ვო - სა და დო - დე -
Вое - де - ба да во - са да до - де -

დო - დე - ბა და ვო - სა და დო - დე -
Вое - де - ба да во - са да до - де -

რა შეიძლება ითქვას ამ თხზულების პირველწყაროს შესახებ?

ის, რომ ეს მართლაც სადიდებელია, თუმცა არა ფხოური, არამედ – კახური. პირველწყაროდ გამოყენებულია დიმიტრი არაყიშვილის მიერ სოფელ აწყურში ჩაწერილი „დიდება“, რომელსაც ქალები ასრულებენ ეკლესიის გალავნის გარშემოვლისას. სიმღერა შესულია 1905 წელს მოსკოვში გამოცემულ კრებულში [7]:

Moderato. № 15. დიდება. Glory.¹⁾

დო - დე - ბა და დმერთ.სა, და დო - დე - ბა!
до - де - ба да дмერთ.са, да до - де - ба!

დო - დე - ბა და დმერთ.სა, და დო - დე - ბა!
до - де - ба да дмერთ.са, да до - де - ба!

დო - დე - ბა და დმერთ.სა, და დო - დე - ბა!
до - де - ба да дмერთ.са, да до - де - ба!

დო - დე - ბა და დმერთ.სა, და დო - დე - ბა!
до - де - ба да дмერთ.са, да до - де - ба!

ტრადიციული სიმღერის ვერბალური მხარე შ. მშველიძის თხზულებაში ხალხურად არის დასახელებული, თუმცა ის „ოსტატურადაა“ შეცვლილი: სიტყვები „ღმერთსა დიდება“ ჩანაცვლებულია სიტყვებით „ერსა დიდება“, „წმინდა გიორგი“ მოხსენიებულია „ჩვენ გიორგიდ“ და სხვ. მთლიანობაში კახური ღვთის სადიდებელი გადაკეთებულია საერო სადიდებლად, რომელიც ფხოველებსა და მათ მშობელ მხარეს ასხამს ხოტბას.

ხალხური სიმღერების დამუშავებასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გივი მუნჯიშვილის მოგონება შ. მშველიძეზე [8]. ბ-ნი გივი იხსენებს 1974 წელს კონსერვატორიის მიერ შ. მშველიძისთვის გადახდილ 70 წლის საიუბილეო სადამოს, რომელზეც მას, კათედრის გუნდის პედაგოგს, კომპოზიტორის საგუნდო პოემა „ფშაური“ შეუსრულებია. „ფშაურს“ აკომპანემენტი რომ დაუწერეთ, რაღაც ზედმეტი მეჩვენებაო“, – უთქვამს გივი მუნჯიშვილს კომპოზიტორისთვის. „როცა დავწერე, მაშინ აკაპელას ვერა

მდეროდნენ და იმიტომ მიუვწერე აკომპანემენტიო“, – უპასუხია შალვას („ფშაური“ 1934 წელს დაწერილა).

1975 წელს, როცა გ. მუნჯიშვილი კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად დაუნიშნავთ, წინა ხელმძღვანელს ჩაუტარებია გამოსამშვიდობებელი კონცერტი, რომელზეც „ფშაურიც“ უმღერიათ. შუამდე რომ მისულან, გუნდი ნელ-ნელა ტონალობას აცდენია (დაუდაბლებია) და კონცერტმაისტერი გაჩერებულა, რადგან აღარ ემთხვეოდა გუნდის ნამღერი ფორტეპიანოს აკომპანემენტს. მეორე ნახევარი „ფშაურისა“ უინსტრუმენტოდ ჩაუთავებიათ. „ფორტეპიანომაც ვერ უშველა, მაინც დაადაბლესო“, – უთქვამს გივის და „ხოდა, რომ მიხვალ, შენ უშველე მაგ ამბავსო!“ როგორც ბ-ნი გივი ამბობს, მას, თურმე, სულ აწუხებდა „ფშაურის“ აკომპანემენტის ამბავი. ამიტომ ბ-ნი შალვასთვის უკითხავს, თუ შეიძლებოდა, რომ მისი შესრულება უაკომპანემენტოდ ეცადა, რაზეც თანხმობა მიუღია. ასეც მოქცეულა, აკაპელა უმღერიათ და ერთ-ერთი ვარიანტი ჩაუწერიათ კიდეც.

შ. მშველიძის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერები ცალკე კვლევას მოითხოვს.

შალვა მშველიძე და საბჭოთა პერიოდის ხალხური შემოქმედება

შ. მშველიძის ნაშრომი რომ საბჭოთა იდეოლოგიით იყოს გამსჭვალული, უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, რადგან კომპოზიტორი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამ მხრივ საინტერესოა მისი სიტყვა უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის პირველ სესიაზე 1951 წელს.

აღნიშნულ გამოსვლაში, რომელიც ქართული ხელოვნების მიერ საბჭოთა პერიოდში მოპოვებულ მიღწევებს ეძღვნება, შ. მშველიძე ეხება ხალხურ შემოქმედებასაც [9]. იგი აღნიშნავს, რომ ხალხური შემოქმედება დღითიდღე იფურჩქნება, რასაც გვიჩვენებს „შესანიშნავი სიმღერები დიდ ბელადებზე“ (ლენინსა და სტალინზე), ახალ მშენებლობებზე, საბჭოთა გმირებსა და დიდ სამამულო ომზე, ბედნიერ ცხოვრებაზე. თავისი სიტყვის დასასრულს შ. მშველიძე მადლობას უხდის ი. სტალინს და მას იხსენიებს, როგორც „მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის უდიდეს ბელადს“, „საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სულისჩამდგმელს“.

შ. მშველიძე „შესანიშნავს“ უწოდებს დედაქალაქში დროგამოშვებით ჩატარებულ, ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებს, თუმცა ამავე დროს საუბრობს მათ ბოლოდროინდელ ნაკლოვანებებზეც. ასეთებად მიაჩნია: „თეატრალური დადგმები, უზარმაზარი დეკორაციები, პროფესიონალი მხატვრების, რეჟისორების, დეკორატორების, გრიმორების და სხვათა გამოყენება, თვით ხალხის ინიციატივის მაქსიმალურად გამოყენების მაგიერ“. კომპოზიტორის აზრით, „ამის შედეგად გაუბრალოვდა და დაკნინდა ნამდვილი ხალხური სიმღერა, ხალხური ცეკვა, ლექსი, შაირი, თქმულება, საკრავიერი მუსიკა. უკანასკნელ ოლიმპიადაზე ხალხური თანამედროვე და ისტორიული სიმღერა ისე შთანთქა ამ უზარმაზარმა თეატრალურმა დადგმებმა, რომ პატარა გამონაკლისის გარდა კარგი ხალხური საგუნდო სიმღერა აღარ გაგვიგონია“. ამას შ. მშველიძე იმიტაც ხსნის, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ნაყოფიერად მუშაობის მიუხედავად, „ლოტბარების, ე.ი. ხალხური და

პროფესიონალური საგუნდო სიმღერის ხელმძღვანელების გამოშვების საკითხს სათანადო სერიოზულობით არ ეკიდება“. როგორც ვხედავთ, კომპოზიტორი ერთიმეორისგან მკვეთრად მიჯნავს ხალხური და პროფესიული გუნდების ხელმძღვანელების მომზადებას, თუმცა ორივე მათგანი კონსერვატორიის პრეროგატივად მიაჩნია. მისი აზრით, „დღეს ხალხური გუნდების ხელმძღვანელობა უმეტეს შემთხვევაში მოუმზადებელი ხალხის ხელშია, რომელთაც არა აქვთ სპეციალური განათლება და სათანადო გამოცდილება“, არადა, ხალხური მუსიკალური შემოქმედების მოვლა და ხელმძღვანელობა „ყველაზე საჭირო და საპატიო ამოცანაა“. უნდა ითქვას, რომ ბ-ნი შალვა სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს და საქმის ვითარება ხშირად დღესაც ასეთია.

დამაფიქრებელია შ. მშველიძის პოზიცია ხალხურ საკრავებთან დაკავშირებით: იგი ფანდურისა და ჩონგურის განვითარების, მათზე უფრო რთული და საინტერესო ნიმუშების შესრულების მომხრეა, ვინაიდან მიაჩნია, რომ ამ საკრავებს მთელი ასპარეზი აქვს დაპყრობილი და მათი კონსერვაცია მუსიკალური მასალის გადარიბებას და „რაც საერთო სტანდარტის“ გამომუშავებას იწვევს.

საგულისხმოა კომპოზიტორის შეხედულება ცეკვაზე. მისი აზრით, „ცეკვების შესრულების დროს ბოლო უნდა მოელოს ყვირილს, წივილს, ყიჟინას, ხმაურს, მუხლებით იატაკზე დახტომას, მუხლებზე ტრიალს და სხვა ამ არა სწორ შეხედულებას ცეკვაზე, მის ვულგარიზაციას... ეს ყალბი ხმაური და მუხლების ძვლების გაფუჭება სულ არ შეეფერება და არ ასახავს ჩვენს სინამდვილეს და ჩვენს ყოფას.

ამ საკითხებს ისევ იქითკენ მივყევართ, რომ თუ ჩვენი ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები გამოუშვებენ კარგ, შეგნებულ და მომზადებულ სპეციალისტ-ხელმძღვანელებს, ისინი სწორი გზით წარმართავენ და უკეთესად უხელმძღვანელებენ ჩვენი მუსიკისა და ცეკვის ხელოვნებას“. ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ, სრულად ვეთანხმები.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა იდეოლოგიის მიუხედავად, შ. მშველიძის სადებუტატო სიტყვა შეიცავს ხალხურ შემოქმედებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან, მათ შორის, პროფესიულად გამართლებულ შეხედულებებსაც, რომლებიც დღემდე აქტუალურია.

შალვა მშველიძის ექსპედიციები

ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან საქართველოს კუთხეების სასიმღერო ტრადიციებს სხვადასხვა გუნდში ზიარებული და ამ ტრადიციებზე შეყვარებული ახალგაზრდა შ. მშველიძე კონსერვატორიაში სტუდენტობის წლებიდანვე შეუდგა სავსე ექსპედიციებში სიარულს და უძვირფასესი მასალა შეკრიბა. ამ მხრივ იგი ზაქარია ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის გზას აგრძელებს.

შ. მშველიძის მიერ ჩაწერილი მუსიკალური მასალის გაცნობამდეც აშკარაა, თუ რამდენად დიდი ისტორიული და სამეცნიერო ღირებულება უნდა ჰქონდეს XX საუკუნის 20-30-იანი წლების ამ საექსპედიციო ჩანაწერებს. ისინი მართლაც უნიკალურია, შეუცვლელი. საბედნიეროდ, 2006 წლიდან გვაქვს საშუალება, მოვისმინოთ ეს საკმაოდ მოცულობითი აუდიომასალა. იგი წარმოდგენილია

კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მომზადებულ გამოცემებში [10, 11].

ვ. ახოზაძის მიხედვით, შ. მშველიძის ექსპედიციების ნუსხა ასე გამოიყურება [12]:

- 1927 (შ. მშველიძე, ლარისა ქუთათელაძე, შალვა ასლანიშვილი): ზემო სვანეთი;
- 1928: კახეთი;
- 1929 (შ. მშველიძე, ვანო მირზიაშვილი, შაქრო ნამორაძე): თუშ-ფშავ-ხევსურეთი და კახეთი;
- 1930: იმერეთი;
- 1932-1933: გურია (ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონები), მეგრული და აფხაზური სიმღერების ნიმუშები;
- 1934: აჭარა (ხულოს, ქედის, შუახევის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონები);
- 1935 (შ. მშველიძე, ნიკო ჩიგოგიძე, შალვა აზმაიფარაშვილი): მესხეთ-ჯავახეთი.

ზემოთ მოყვანილისგან რამდენადმე განსხვავდება და მასზე მცირეც არის ლილვაკების კოლექციებისეული სია შ. მშველიძის ექსპედიციებისა. სულ გამოქვეყნებულია 250-ზე მეტი ჩანაწერი, რომლებიც ჩაწერილია:

- 1929: თიანეთში, ხევსურეთში, ფშავში, კახეთში;
- 1931: გურიაში, სვანეთში;
- 1932: აჭარაში;
- 1933: მესხეთ-ჯავახეთში.

გრიგოლ ჩხიკვაძის სამეცნიერო ნაშრომიდან ირკვევა, რომ შ. მშველიძე, როგორც ჯგუფის წევრი შ. ასლანიშვილთან ერთად, ნამდვილად მონაწილეობდა ზემო სვანეთის 1927 წლის ექსპედიციაში – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის „პირველ სამუსიკო-სამეცნიერო ექსპედიციაში“, რომელსაც პროფესორი ლ. ქუთათელაძე ხელმძღვანელობდა [13]. ამ ექსპედიციის წევრებად ლ. ქუთათელაძეს სტუდენტები – შ. მშველიძე და გ. ჩხიკვაძე მიუწვევია, მაგრამ გ. ჩხიკვაძეს, რაკი გამგზავრებას ვერ ახერხებდა, თავის ნაცვლად ექსპედიციაში მონაწილეობა შ. ასლანიშვილისთვის უთხოვია. სვანეთის ამავე ექსპედიციაზე უნდა იყოს საუბარი ნ. ბახუტაშვილის მოგონებაში: ჯგუფის წევრებად აქაც შ. ასლანიშვილი, შ. მშველიძე და ლ. ქუთათელაძე არიან დასახელებულნი [14].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, სვანეთის მსგავსად, შ. მშველიძე ექსპედიციებს წევრობდა 1928 წელს კახეთშიც და 1930 წელს იმერეთშიც. ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს ექსპედიციები კომპოზიტორმა თავადვე ჩაატარა, მაგრამ მათი ჩანაწერები დაკარგულია.

საყურადღებოა შ. მშველიძის მოგონება მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციაზე, მოყვანილი ვ. ახოზაძის ნაშრომში [15]. კომპოზიტორი იგონებს: „ჩვენ მესხეთ-ჯავახეთში მოვისმინეთ ისეთი სიმღერები, რომლებშიც *ურმულის* ჩონჩხზე ზედ კიდევ დაკერებული იყო სამი მუსიკალური კულტურა: სომხური, თათრული და კათოლიკური სარწმუნოებისა. მხოლოდ ორ სოფელში, სახელდობრ, ანდრიაწმინდასა და ტატანისში (ესენი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებია – ნ.ზ.) შემონახულა წმინდა ქართული ხალხური სიმღერები, მხოლოდ მაინც კათოლიკური საგალობლების გავლენით“.

ვ. ახოზაძე წერს, რომ მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის მეტად საინტერესო იქნებოდა შ. მშველიძის მიერ მესხეთ-ჯავახეთში ჩაწერილი სიმღერების მოსმენა და მათი შედარება 2-3 ათეული წლის შემდეგ თავის მიერ ჩაწერილთან, მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან „ფონოგრაფზე ჩაწერილი ლილვაკები წაშლილია ტექნიკური მიზეზების გამო“. საქმე იმაშია, რომ ლილვაკების კოლექციების გამოცემებში შესულია ჩანაწერები შ. მშველიძის მესხეთ-ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციისა [16], ვ. ახოზაძე კი თავის ნაშრომში საუბრობს შ. მშველიძის მესხეთ-ჯავახეთის 1935 წლის ექსპედიციაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ან ეს არის ერთი და იგივე ექსპედიცია, რომელიც არასწორად იხსენიება სხვადასხვა წლისად და მისი ლილვაკები წაშლილი არ ყოფილა, ან კიდევ საუბარია შ. მშველიძის ორ სხვადასხვა ექსპედიციაზე მესხეთ-ჯავახეთში, რომელთაგან ერთის ლილვაკები წაიშალა.



შ. მშველიძე ექსპედიციაში. ლანჩხუთი, 1931

შალვა მშველიძის საექსპედიციო დღიური

ცალკე საუბრის თემაა შ. მშველიძის საექსპედიციო დღიური, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორიას შ. მშველიძის შვილმა, ქ-ნმა ნანა მშველიძემ გადმოსცა [17]. ჩვენთვის აქამდე უცნობი ეს დღიური სახელწოდებით „სამეცნიერო სამუსიკო ექსპედიცია თუშეთში, ფშავ-ხევსურეთსა და კახეთში (1929 წ.)“ თავის ავტორს – შ. მშველიძეს, სხვა ყველაფერთან ერთად, ნიჭიერ მთხრობლადაც წარმოგვიდგენს.

დღიურში შ. მშველიძე აღწერს საკუთარ მოგზაურობას აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებსა და კახეთში 1929 წლის აგვისტოში; აღნიშნავს, რომ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელიც, ასისტენტიცა და მექანიკოსიც თავად ყოფილა; ახასიათებს ადგილობრივ ბუნებასა და იქაურ მკვიდრებს, მათ ყოფასა და საქციელს, ასევე, ჩაწერილ ნიმუშებს; ხან აღწერს მათ, ხანაც ერთგვარი იუმორით გვიმხელს საკუთარ დამოკიდებულებას ნანახსა და გადახდენილზე.

წინამდებარე ნაშრომში შევხებით დღიურის იმ ინფორმაციას, რომელიც თუშ-ფშავ-ხევსურულ მუსიკასთან არის დაკავშირებული. ხევსურები და

ფშავლები შ. მშველიძეს თავდაპირველად თიანეთში ჩაუწერია. ხევსურების ჩაწერის ისტორიიდან ვიგებთ, რომ სოფელ ალოტიდან, საჭურიდან და ჭიაურიდან მოყვანილი ხევსურები თიანეთის ახლომახლო ადგილებში 30 წლის წინ (ე. ი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე – ნ.ზ.) ჩასახლებულან. ეს სწორედ ის სოფლებია, რომელთა მკვიდრებისგანაც შ. მშველიძემ პირველმა ჩაწერა ხევსურული ორხმიანობის ნიმუშები. მაშასადამე, თიანეთის რ-ნის ამ სოფლებში კომპაქტურად დასახლებული ხევსურები XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ორხმიან სიმღერებს ჯერ კიდევ მღეროდნენ.

შ. მშველიძის მიერ გამოკითხულთა აზრით, ხევსურები ერთად არ მღერიან, ლუდის სმის – ღრეობის დროს იმღერებს აქ ორი კაცი, შემდეგ სხვა ორ კაცს გადასცემს ჩონგურს, მერე – კიდევ სხვა ორს და ა.შ. შ. მშველიძე ამ მღერას ახასიათებს, როგორც მღერას ან მერყევი, უფრო ღმუილისმაგვარი ბანით, ან – უნისონით. მისი თქმით, ხევსურული სიმღერები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რასაც ხევსურები ვერ ხვდებიან, რადგან ლექსებია განსხვავებული. შ. მშველიძე წერს, რომ დ. არაყიშვილისთვის გაუგზავნია წერილი „ხევსურების საერთო მელოდიის ნოტებით“. სამუსიკო ექსპედიციის მიერ ნოტით გაგზავნილ ამ წერილზე თვითონვე ხუმრობს – გაეცინებათ ფოსტის განყოფილებებსო.

სოფელ საჭურეში ექსპედიციას სიამოვნებით შეხვედრიან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გაუგიათ ფონოგრაფის ამბავი. ჩასაწერად მიუყვანიათ ნინა წიკლაური და ნინა ჭინჭარაული. ნინა წიკლაურისთვის უთხოვიათ, „ნანა“ ემღერა, იმას კი გაუოცებია – მე ბარიშნა ვარო. სხვებს სიცილი დაუწყიათ – მაგას ჯერ შვილი არა ჰყავს და „ნანა“ როგორ უნდა იმღეროსო? აქ ბ-ნი შალვა მართებულად ავლებს პარალელს სვანეთის სოფელ ლახამულაში „ზარის“ ჩაწერასთან, რა დროსაც ერთ სვანს „მიცვალებულის როლი უთამაშია, სხვებს კი – მგლოვიარეებისა და ამგვარად ჩაუწერიათ სიმღერა“. უნდა აღვნიშნო, რომ ზემოთ ნახსენები ხევსური ქალები ის ქალები არიან, რომელთა მიერ ნამღერი „ხუთშაბათ გათენება“ [18] ქართულ მუსიკოლოგიაში 1948 წლიდან დაწყებული, ბოლო წლებამდე, მიიჩნეოდა უმარტივეს ნიმუშად ქართული ორხმიანობისა. ძნელად ასახსენელია, როგორ მოხდა, რომ შ. მშველიძემ არ გამოიფრა სოფელ ალოტში ხევსურების – არაბულისა და ჭინჭარაულისგან ჩაწერილი ორხმიანი სიმღერა „გირავში მოდგა მუცალი“, რომელშიც მთავარი ჰანგის მთქმელს მეორე შემსრულებელი მთელი სიმღერის მანძილზე გამართულ ორსაფეხურიან ბანს ეუბნება [19].

სოფელ საჭურის მცხოვრებთა აზრით, „ხევსურებს სიმღერა არა აქვთ, არც უყვართ მღერა“. შ. მშველიძის დაკვირვებით, სამიკიტნოში მოქეიფე ხევსურებს (კაცებსა და ქალებს) გარმონზე დამკვრელისთვის დაუმახიათ და მთელი დღე იმისი დაკვრით ერთობოდნენ, თვითონ კი ხმაც არ ამოუღიათ.

საინტერესოა სოფელ ბარისახოში „ტირილის“ ჩაწერის ისტორია: ერთ ქალს შეხვეწნიან, რომ ეტირა, ის კი პასუხობდა, სახლში ტირილი არ შეიძლებაო, დედამთილი ცოცხალი მყავს და რად უნდა ვიტყო და სხვ. მაშინ შალვას უთხოვია, რომ ის ეტირა. ამაზე ქალი დათანხმებულა და უთქვამს, – კარგი, შენ გიტირებ, მაგრამ გულით არაო და მოუყოლებია: „შალვა, ჩემო მზეო, ამდენი წაწალ გყავდა, ამდენი ცხვარ, ამდენი ძროხ გყავდა, სახლ-კარ წამოჭიმულ, მთაში ვაჟკაც იყავ, ხევსურეთში კაი კაც იყავ, ლეკვებ ხოცავდიო, ქისტებს სდევნიდიო და სხვა და სხვა.“ ამ დროს ხალხი გამოცვენილა – რა მოხდა, რა ტირილი ისმისო? და

ტირილის ნება აღარ მიუციათ – ტირილს ცუდი რამ მოჰყვებაო! ეს „ტირილი“ მილა არაბულს უთქვამს [20]. შ. მშველიძის მიხედვით, ამის შემდეგ ვისიმე მღერება ძნელი იყო და მასაც თავი დაუწებებია. ბარისახოში ჩაუწერია ექსპედიციას პირიქითელი ხევისურებიც.

ფშაური სიმღერები შუაფხოში ჩაწერილა. შ. მშველიძის შეფასებით, „სიმღერები აქაც უბრალოა, მარტივი, მაგრამ ხევისურულზე რთული – ორხმიანი. ტკბილად, ღიღინით მღერიან“.

დღიურში ჩამწერი ერთგვარად აჯამებს თავისი საექსპედიციო მუშაობის შედეგებს ხევისურებთან, ფშავლებსა და თუშებთან. მისი აზრით:

- ხალხში უკვე დაკარგულია მრავალი სიმღერა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იპოვებოდა;
- ხევისურული და თუშური სიმღერები უმთავრესად ერთხმიანია, ფშავლებისა – ორხმიანი.

თითოეულ ამ შტოს თავისი განსაკუთრებული, დამახასიათებელი სიმღერები აქვს.

შ. მშველიძე ყურადღებას ამახვილებს ხევისურული მღერის მანერაზე და ამასთან დაკავშირებით კლიმატური პირობების გათვალისწინებაც საჭიროდ მიაჩნია. ჩამწერი საინტერესოს უწოდებს იმ ხევისურულ სიმღერებს, რომლებსაც ორი კაცი ასრულებს ერთად. მისი დახასიათებით, „აქ პირველი ხმა მღერის ჩვეულებრივ და მთავარ მელოდიას, მეორე ხმა კი მისდევს მას პარალელურად, უმეტესად დიდი ან პატარა სეკუნდებით. სიმღერა თავდება დიდი სეკუნდით ან უნისონში“. ჩამწერი საუბრობს ხევისურების ცრუმორწმუნეობაზე და მაგალითად ასახელებს „ტირილს“, რომლის ჩაწერაც „დიდ ხვეწნად დასჯდომიათ“.

შ. მშველიძეს მოსწონს თუშური სიმღერა ბგერების „მკაფიოობა-გამართულობის, მოქნილობის“, ორნამენტებით შელამაზების გამო.

ჩამწერი სამივე შტოს შორის განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ფშაურ სიმღერას, რომელიც „მეტად ნაზი და მშვიდი ხასიათისაა... პატარა მოცულობისა და ორიგინალური, თავისებური კილოთი, რომელიც ფრიგიულ კილოს წააგავს, მასში ამაღლებული მეექვსე საფეხურით“.

შ. მშველიძე აღნიშნავს, რომ მას ვეღარსად უპოვია (გამქრალა) „ძველი ფშაური სიმღერები „სამაია“ და „ფერხისა“. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ ხსენებული სიმღერები (და, ასევე, მონათესავე გუდამაყრული „ფერხისები“ და ხევისურული „ფერხისულები“) 1940-1950-1960-იან წლებშიც არის ჩაწერილი [21, 22].

საყურადღებოა, რომ თუშებში გარმონის შეჭრასთან დაკავშირებით შ. მშველიძე მართებულად ვარაუდობს ამ საკრავის მიერ მალე ნამდვილი ქართული ხალხური სიმღერის განდევნას.

შალვა მშველიძე – ხალხური მუსიკის გამშიფრავი

საგანგებო მსჯელობის საგანი არასდროს გამხდარა შ. მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მხარე, როგორიცაა მის მიერ ნოტირებული ჩანაწერები. ვ. ახოზაძის მიხედვით, დ. არაყიშვილს, შეუნიშნავს რა შ. მშველიძის დიდი ინტერესი ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერისა და შესწავლისადმი, მისთვის გასაშიფრად გადაუცია სვანური სიმღერების ფონოგრაფული ჩანაწერები (23 სიმღერა) [23]. შ. მშველიძის მიერ

გამიფრული ეს სიმღერები გამოქვეყნებულია დ. არაყიშვილის წიგნში [24]. ნაწილი შ. მშველიძის მიერ გამიფრული სვანური სიმღერებისა 1950 წელს ვ. ახოზაძეს შეუტანია თავის მიერ შედგენილ კრებულში [25].

განსაკუთრებით საყურადღებოა შ. მშველიძის ნოტირებული თავისივე ჩანაწერები. სამწუხაროდ, კომპოზიტორს არ დაუტოვებია საკუთარი კრებული, ანუ კრებული, შედგენილი თავისი ჩაწერილი და გამიფრული ნიმუშებით – მათი ნაწილი შესულია სხვადასხვა ავტორის მიერ მომზადებულ გამოცემებში. რაც შეეხება შ. მშველიძის მიერ ნოტირებულ ხელნაწერებს, ისინი ინახება ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში. სანოტო მასალის კატალოგი შედგენილია 2000-იან წლებში არქივის სამსახურის მაშინდელი უფროსის, ეთნომუსიკოლოგ ნანა კალანდაძის მიერ [26].

შ. მშველიძის ჩაწერილ-გამიფრული მთელი ნუსხიდან განსაკუთრებით საყურადღებოა იმ კუთხეების ნიმუშები, რომელთა მუსიკალური ყოფის ამსახველი მასალები მანამდე ფაქტობრივად უცნობი იყო და მათი გამომზეურება კომპოზიტორის სახელს უკავშირდება. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა ხევსურული, ფშაური და თუშური ნიმუშები, ჩაწერილი 1929 წელს.

საკუთრივ რომელი თუშ-ფშავ-ხევსურული ნიმუშებია შესული და რომელ გამოცემებში?

შ. მშველიძის მიერ გამიფრული თუშ-ფშავ-ხევსურული ნიმუშები წარმოდგენილია დ. არაყიშვილის 1948 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში [27]. ესენია: ხევსურული – 5 „ნანა“, „შატილ მოვიდის ლაშქარი“, „ზენაით იწერებიან“, „ხუთშაბათ გათენდება“ და „შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა“; ფშაური – „მშვიდობით, ჩემო სამშობლო“ და „ჯვარის წინასა“; თუშური – „მეითის სიმღერა“, „დალადა“ და „მელოდია უენო სალამურზე“. სიმღერები მოყვანილია უტექსტოდ.

დ. არაყიშვილის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ სტუდენტი შ. მშველიძე ხევსურეთში მას გაუგზავნია. მეცნიერი აღნიშნავს, რომ 1906 და 1916 წლებში, როცა მას აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების – ხევსურების ხალხურ მუსიკაზე წერა მოუხდა, ხელთ ჰქონდა მხოლოდ მცირე მასალა და, შესაბამისად, ბევრი რამის შესახებ მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, მაგრამ ახლა, როცა ხელთა აქვს ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში ნამყოფი შ. მშველიძის რიგი ჩანაწერები, თავს უფლებას აძლევს, ამ თემას კიდევ ერთხელ შეეხოს და შეავსოს თავისი ადრეული კვლევები ხევსურების ხალხურ სიმღერაზე.

დ. არაყიშვილის თქმით, 40 წლის წინ ხევსურული სიმღერების ჩაწერისას იგი მართალი იყო ერთ რამეში – რომ არ დაუჯერა ხევსურებს, თითქოს მათ, იმ 2 მოტივის გარდა, რომლებიც უმღერეს, სხვა სიმღერები არა ჰქონდათ. 30 წლის შემდეგაც კი, როცა ხევსურეთში სტუდენტი შ. მშველიძე გააგზავნა, აღმოჩნდა, რომ ხევსურებს აქვთ სხვა ჰანგებიც, და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს სიმღერები არა მარტო ერთხმია, არამედ – ორხმია. ეს ორხმიანობა წარმოადგენს ორხმიანი მღერის პირველ სახეს. მას ასრულებს ორი ხმა ან გაბმული უნისონური ბგერის სახით ფრაზის ბოლოს („ხუთშაბათ გათენდება“), ან ტერციების მოძრაობით, რომელსაც ენაცვლება დიდი სეკუნდებისა და კვარტების მოძრაობა („შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა“). ეს პრიმიტიულია, მაგრამ მაინც ორხმიანობაა.

დ. არაყიშვილის მიხედვით, მომღერლები, რომელთაგანაც იგი იწერდა სიმღერებს, სხვადასხვა ტექსტს ამბობდნენ ერთსა და იმავე ჰანგებზე. შ. მშველიძის ჩანაწერებში კი ხევესურებს აქვთ განსხვავებული ჰანგები სხვადასხვა ტექსტით, სხვადასხვა თემატიკაზე.

რას ამბობს დ. არაყიშვილი ზოგადად **ხევესურულ** სიმღერაზე? რომ ის შესანიშნავი ძეგლია ძველი დროისა, მტკიცებულება იმისა, თუ დაახლოებით როგორი იყო, ან როგორი უნდა ყოფილიყო თავისი ფორმითა და რიტმით საერთოქართველური სიმღერა უძველეს დროს. შემდგომ ყოველმა ქართულმა შტომ სიმღერაში თავისი განსაკუთრებული ნიშნები შეიტანა, მისი უძველესი ფორმა კი თითქმის ხელუხლებელი სახით შემოინახა ხევესურეთმა, რასაც ხელი შეუწყო ამ კუთხის ბუნებრივმა პირობებმა, ხევესურების იშვიათმა კარჩაკეტილობამ და მოწყვეტილობამ სხვა ქართველი მთიელებისა და ბარის მკვიდრებისგან.

რას წერს დ. არაყიშვილი **ფშაური** სიმღერის შესახებ?

დ. არაყიშვილის თქმით, მის მიერ ჩაწერილი ფშავლები მართლები არ იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ მათ სხვა სიმღერები არა ჰქონდათ: სხვა სიმღერები ფშავლებს აღმოაჩნდათ, თუმცა ისინიც ისევე სრულდება, როგორც დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილები – ორ ხმაში, რბილი ფშაური მანერით. მეცნიერის მიხედვით, ფშავლების ყველა სიმღერა, გარდა სოლო-რეჩიტატიულისა, რომელსაც ფანდური ახლავს, ორხმიანია. ხევესურულსა და ფშაურ სიმღერებს შორის სხვაობას, ანუ იმ ფაქტს, რომ ფშავლების სიმღერა უფრო რთული, ორხმიანი აღნაგობისაა, ხოლო მათი მეზობელი ხევესურებისა, რომლებიც თითქმის ისეთივე პირობებში ცხოვრობენ, ერთხმიანი, დ. არაყიშვილი ხსნის იმით, რომ ბარიდან მთაში ფშავლები უფრო გვიან გადასახლდნენ. სავარაუდოდ, იმ დროს ქართველური სიმღერა განვითარების მეორე სტადიაში იყო და უკვე ჰქონდა განვითარებული ორხმიანობა.

თუშების სიმღერაზე საუბრისას დ. არაყიშვილი აღნიშნავს, რომ მასალა არასრულია, არსებობს მისი და კომპოზიტორ შ. მშველიძის ჩანაწერები, მაგრამ ისინი წოვა თუშებისაა, რომლებიც მთიდან ალაზნის ველზე დიდი ხნის წინ ჩამოსახლდნენ. მთის თუშეთში კი (არასწორი ტერმინია, იგულისხმება თუშების ისტორიული საცხოვრებელი – ნ. ზ.) მუსიკალური ფოლკლორი შეუსწავლელია. შ. მშველიძის მიერ ჩაწერილი „მეითის სიმღერისა“ და „დალაჲს“ მიხედვით ალვანში მცხოვრები წოვა-თუშების სიმღერების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ ხმაზე იმღერება.

შ. მშველიძის მიერ გაშიფრული თუშ-ფშავ-ხევესურული ნიმუშები შესულია, ასევე, **შ. ასლანიშვილის ნაშრომში** [28]. ესენია: ხევესურული – „ხუთშაბათს გათენდება“ და 5 „ნანა“, ფშაური – „ჯვარის წინასა“, თუშური – „დალა“ და „მეითის სიმღერა“. დ. არაყიშვილის მსგავსად, სიმღერები შ. ასლანიშვილთანაც უტექსტოა.

შ. ასლანიშვილის ნარკვევების აღნიშნული ტომი საგანგებოდ ფშავ-ხევესურულ და თუშურ ხალხურ მუსიკას ეძღვნება, ამიტომ მასში გამოქვეყნებული, შ. მშველიძის სანოტო ჩანაწერები დაწვრილებით განვიხილე და შევადარე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცულ, შ. მშველიძისავე სანოტო ხელნაწერებს.

შედარების შედეგად ირკვევა, რომ
ბექდურ ვერსიებს არ ახლავს:

- ინფორმაცია შემსრულებლებისა და შესრულების ადგილის შესახებ (ვინ და რომელ სოფელში იმღერა);
- სიმღერების შესრულების ფორმასთან დაკავშირებული აღნიშვნები: სათაურთან – რომ ეს არის ფერხული, ან – რომ იმღერა გუნდმა; დასაწყისში – შემსრულებლების (ორი დამწყებისა და ბანების) დასახელება, თვითონ სიმღერაში – ორი დამწყების, ან დამწყებისა და გუნდის მონაცვლეობა; სიმღერის ბოლოს – შენიშვნა, რომ დამწყებს solo-ს შესრულებისას სხვებიც ჰყვებიან და სიმღერა სუფთა უნისონით არ გამოდის;
- სიმღერის შესრულების მანერასთან დაკავშირებული შენიშვნა (რომ სიმღერა glissando-ებით (ცურვით) სრულდება;
- ჩამწერის შენიშვნები ჩაწერის პროცესთან დაკავშირებით;
- ასევე:
- როგორც წესი, სიმღერები არასრულია (მაგალითად, აკლია ბოლო ნაწილი, ან მხოლოდ ორი მუხლია წარმოდგენილი);
- გვხვდება უმნიშვნელო ცვლილება სიმღერის სახელწოდებაში.

ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ მოვიყვან სიმღერებს: „ხუთშაბათ გათენდება“, „ჯვარის წინასა“ და „დალა“:

„ხუთშაბათ გათენდება“:



შ. ასლანიშვილის წიგნი.

Handwritten musical score for "მ. მშველიძის ხელნაწერი" (Manuscript of M. Mshvelidze). The score is written on two staves with Georgian lyrics. It includes a tempo marking "Allegro moderato" and a key signature of one sharp (F#). The manuscript is dated 1926 and has a library stamp from the National Library of Georgia.

მ. მშველიძის ხელნაწერი.

„ჯვარის წინასა“:

№39. გვარის წინასა


Handwritten musical score for "Andante". The score is written on two staves with Georgian lyrics. It includes a tempo marking "Andante" and a key signature of one sharp (F#). The manuscript is dated 1926 and has a library stamp from the National Library of Georgia.

მ. ასლანიშვილის წიგნი.


Handwritten musical score for "მ. მშველიძის ხელნაწერი" (Manuscript of M. Mshvelidze). The score is written on two staves with Georgian lyrics. It includes a tempo marking "Andante" and a key signature of one sharp (F#). The manuscript is dated 1926 and has a library stamp from the National Library of Georgia.

მ. მშველიძის ხელნაწერი.

„დალა“:



შ. ასლანიშვილის წიგნი.



შ. მშველიძის ხელნაწერი.

ერთი და იმავე სიმღერების ბეჭდურ და ხელნაწერ ვერსიებს შორის არსებული განსხვავება აშკარაა. მაგალითად, პირველ სიმღერას შ. მშველიძის ხელნაწერში ჰქვია „ხუთშაბათ გათენდება“ და არა „ხუთშაბათს გათენდება“. შ. ასლანიშვილთან სიმღერა არასრულია – მას აკლია ბოლო ნაწილი, რომელიც წინა მუხლების ანალოგიურია. შ. მშველიძე აღნიშნავს, რომ ეს სიმღერა თიანეთის რაიონის სოფელ საჭურეში ჩაუწერია ორი შემსრულებლის – ნ. წიკლაურისა და ნ. ჭინჭარაულისგან. სიმღერის ბოლოს დართულ შენიშვნაში ჩამწერი მიუთითებს, რომ ხეცსურული ორხმიანი სიმღერის ჩაწერა მხოლოდ მისი თხოვნით მოუხერხებიათ, რადგან სიმღერის მოზანე, ნ. ჭინჭარაული, დედათა წესის გამო, ოთახში არ შედიოდა.

შ. ასლანიშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს შ. მშველიძის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები თუშური მუსიკის შესახებ [29]: „... ჩემ დაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც პირველად შევხვდი თუშებს ს. ალვანში. აქედან დაწყებული მათი კუთხის მთელ მანძილზე ესენი ერთ ხმაზე ასრულებენ სიმღერას. განსაკუთრებით საინტერესო იყო სიმღერა „დალა“... როდესაც ამ სიმღერას მღეროდა ოცდაათამდე კაცი, ერთი ხმით, ეს ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედებისათვის უჩვეულო მოვლენა იყო...“. შ. მშველიძე აღნიშნავს თუშეთში განსაცვიფრებელი ოსტატობით დაკვრას ფანდურსა და სალამურზე, უმეტესად, მწყემსური დასაკრავებისა. ჩამწერის ამ ცნობის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთში ჩასახლებულ წოვა თუშებში XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ჯერ კიდევ ეს საკრავები ყოფილა პოპულარული.

შ. მშველიძის ჩაწერილი ყველაზე ბევრი თუშ-ფშავ-ხეცსურული ნიმუში წარმოდგენილია გ. ჩხიკვაძის მიერ შედგენილ და რედაქტირებულ კრებულში [30]. მეტიც, ამ კრებულში შეტანილი თუშური, ფშაური და ხეცსურული სიმღერა-დასაკრავების უმრავლესობა სწორედ მისი ჩაწერილი და გაშიფრულია. ესენია: ხეცსურული – 5 „ნანა“, „შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა“, „ხუთშაბათ გათენდება“, „მატილ მოვიდის ლაშქარი“, „ზენაით იბარებიან“ და „საფანდურო“; თუშური – „მეითის სიმღერა“, „დალა“, „სალამური“ და „საფანდურო“; ფშაური – „ფშაური“, „ჯვარის წინასა“ და „საცეკვაო“. წინა ნაშრომებისგან განსხვავებით, შ. მშველიძის მიერ გაშიფრულ სიმღერებს გ. ჩხიკვაძის კრებულში ახლავს ვერბალური ტექსტები.

ამ კრებულში გამოქვეყნებული, შ. მშველიძის **ხევსურული, ფშაური და თუშური** სანოტო ჩანაწერების შ. მშველიძის ხელნაწერებთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ ბეჭდურ ვერსიებში:

- გასწორებულია ნოტების დაჯგუფებასთან დაკავშირებული ზოგი ხარვეზი;
- ბგერის შუალედურობა აღნიშნულია ზემოთ ან ქვემოთ მიმართული ისრებით;
- 3/8 ზომა ხშირად ჩანაცვლებულია 6/8-ით (ხევსურული სიმღერები);
- აღნიშვნა „I და II დამწყებები“ ჩანაცვლებულია აღნიშვნით „I და II მთქმელები“ (ფშაური სიმღერები), რაც წინა ვერსიას სჯობს, თუმცა სწორი იქნებოდა „მთქმელი და შემქმნელი“;
- ბეჭდურ ვერსიებს არ ახლავს:
- ინფორმაცია შემსრულებლებისა და შესრულების ადგილის შესახებ;
- მითითება სიმღერის ჟანრულ კუთვნილებაზე (რომ საფერხულოა, ან სამგლოვიარო (ჟანრის მიხედვით „ჯვარის წინასა“ და „დალა“ საწესო ჟანრშია შეტანილი);
- შესრულების ფორმასთან და მანერასთან დაკავშირებული შენიშვნები.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბეჭდურ ვერსიებში შეტანილი ეს ცვლილებები ბ-ნ გრიგოლს ეკუთვნის, რადგან ამ კრებულის რედაქტორი ის იყო.

რას წერს გ. ჩხიკვაძე **ხევსურული** სიმღერების შესახებ?

მისი თქმით, „ხევსურები მღერიან უმთავრესად ერთხმიან პრიმიტიულ სიმღერებს, რომლებსაც, საფანდურო სიმღერების გამოკლებით, ასრულებენ გუნდით უნისონში, რაც ხაზს უსვამს მათი წარმოშობის სიმკვლე“ [31]. ჩემი შეხედულებით, ტერმინ „პრიმიტიულის“ გამოყენება ხევსურული ერთხმიანი სიმღერების მისამართით არასწორია. რაც შეეხება იმას, რომ უნისონში შესრულება ამ სიმღერების წარმოშობის სიმკვლეზე მიანიშნებს, ვფიქრობ, რომ ხევსურეთში ეს, პირიქით, ორხმიანი სასიმღერო პრაქტიკის მივიწყების შედეგია [32].

გ. ჩხიკვაძე გამოთქვამს აზრს შ. მშველიძის მიერ 1929 წელს ჩაწერილ ხევსურულ სიმღერებში ორხმიანობის შესახებ, თუშური „დალასა“ და ფშაური სიმღერების შესახებ [33]. მას მიაჩნია, რომ ხევსურულ სიმღერებში ვხვდებით „მეტად ორიგინალურ ორხმიანობას“: სიმღერაში „ხუთშაბათ გათენდება“ ბანი უნისონში ჩაერთვის ზედა ხმას კადანსებში, სტროფების ბოლოს; ხოლო სიმღერა „შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა“ წარმოადგენს „უფრო შემთხვევით შეხამებებს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ორი ხმისას, ვიდრე ორხმიანობის ჩამოყალიბებულ ტიპს“ (უნდა აღვნიშნო, რომ მეორე სიმღერასთან დაკავშირებით პატივცემულ მეცნიერს სრულად ვეთანხმები – ნ.ზ.). ამგვარი სხვა ნიმუშის უქონლობა და ზოგადად ხევსურული მასალის სიმწირე არ აძლევს გ. ჩხიკვაძეს საშუალებას, გაარკვიოს ამ სიმღერის ადგილი ქართულ მრავალხმიან სიმღერებს შორის.

უნისონური მღერის „მკაფიო მაგალითად“ ასახელებს გ. ჩხიკვაძე **თუშურ** „დალას“, რომელიც სრულდება სოლისტისა და უნისონური გუნდის მიერ შენაცვლებით.

ფშაური სიმღერების დამახასიათებელ ნიშნად თვლის მეცნიერი „ამაღლებულ მეექვსე საფეხურს და აქედან გადიდებულ კვინტას მელოდიის დაღმავალ მოძრაობაში“.

შ. მშველიძის მიერ გაშიფრული სიმღერები წარმოდგენილია, ასევე, **ვლადიმერ გოგოტიშვილის შრომათა კრებულში** [34]. ავტორის განმარტებით, ნაშრომში პირველად ქვეყნდება სამი ფშაური სიმღერა: „ნეტავი, ჩემო დედაო“, „ჯვარის წინასა“ და „ამბავ მოვიდა ქვენაით“. ყველა მათგანი ჟღერს ფშაურ კილოში, რომელიც შ. მშველიძემ „აღმოაჩინა“ და სახელად „ფშაურიც“ მანვე დაარქვა, როგორც ძირითადად ფშაური ხალხური სიმღერის მონაპოვარს. ვ. გოგოტიშვილის მიხედვით, თუ აქამდე ეს კილო იშვიათ გამონაკლისად ითვლებოდა, ახლა ლაპარაკი შეიძლება კანონზომიერ მოვლენაზე, რომელსაც ხალხში მტკიცე ტრადიციები აქვს.

დასკვნა

წინამდებარე სტატია შ. მშველიძის ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობის საფუძვლიანად შესწავლის პირველი მცდელობაა. კომპოზიტორის საექსპედიციო ფონოჩანაწერებისა და დღიურის, მის მიერ გაშიფრული ნიმუშების ხელნაწერებისა და არსებულ პუბლიკაციებში წარმოდგენილი სანოტო მაგალითების კვლევა, გაანალიზება და შედარება (თუნდაც მხოლოდ თუშ-ფშავ-ხევსურული ჩანაწერების მიხედვით) სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ შ. მშველიძის წვლილი ეთნომუსიკოლოგიის სფეროშიც მოღვაწეობად შევაფასოთ.

კომპოზიტორს ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ქართული ხალხური მუსიკის შეკრების, საზოგადოებისთვის გაცნობისა და შესწავლის საქმეში:

- მან პირველმა ჩაწერა ბევრი ხევსურული, ფშაური და თუშური სიმღერა;
- თავის მიერ ნოტირებული ნიმუშებით მუსიკალურ საზოგადოებას გააცნო აღმოსავლეთ საქართველოს მთის ამ კუთხეების ხალხური მუსიკის მანამდე თითქმის უცნობი ფენომენი;
- „აღმოაჩინა“ „ფშაური კილო“;
- ჩაწერა ნიმუშები ხევსურული ორხმიანობისა („ხუთშაბათ გათენება“, „გირავში მოდგა მუცალი“) – იმ კუთხის ადრე დაკარგული ორხმიანობისა, რომლიდანაც შემდგომი თაობების ჩამწერებმა მხოლოდ „ფერხისულების“ დოკუმენტირება შეძლეს;
- გაშიფრა სიმღერები, რომლებიც საფუძვლად დაედო ხევსურული, ფშაური და თუშური სიმღერების სამეცნიერო კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა, სანოტო და აუდიო წყაროები:

1. ახოზაძე ვ. შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. სამეცნიერო ნაშრომი №900039750843, ხელნაწერი, 1963/64, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ. 4.
2. დონაძე ლ. შალვა მშველიძე (მონოგრაფიული ნარკვევი). თბილისი: საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი, 1946, გვ. 7-8.
3. შალვა ჩემო. <https://1tv.ge/radiomuseum/shalva-chemo-gruli-satrfile/> (ბოლო ნახვა 05.07.2025).

4. ჩაკრულო. <https://1tv.ge/radiomuseum/chakrulo-kakhuri-sufruli/> (ბოლო ნახვა 05.07.2025).
5. ახოზაძე ვ. შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. სამეცნიერო ნაშრომი №900039750843, ხელნაწერი, 1963/64, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ.: 5, 6.
6. მშველიძე შ. ფხოური სადიდებელი (შერეული გუნდისათვის ფორტეპიანოს თანხლებით). ოპერიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება, 1965.
7. Аракчиев, Д. Краткий очерк развития Грузинской, карталино-кахетинской, народной песни. Москва: Типография К. Л. Меньшова, 1905, გვ. 65.
8. გივი მუნჯიშვილი. მოგონებები. შალვა მშველიძე. <https://www.youtube.com/watch?v=TV7uZV0FThk> (ბოლო ნახვა 05.07.2025).
9. მშველიძე შ. სიტყვა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის პირველ სესიაზე (1951წ.). სამეცნიერო ნაშრომი №900039750214, ხელნაწერი, 1951. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ.: 6, 7-8, 9.
10. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2006.
11. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2007.
12. ახოზაძე ვ. შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. სამეცნიერო ნაშრომი №900039750843, ხელნაწერი, 1963/64, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ. 2-3.
13. ჩხიკვაძე გ. ქართული მუსიკალური ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა სამოცი წლის მანძილზე (1921-1981). სამეცნიერო ნაშრომი 3446, ხელნაწერი, 1981. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია. გვ. 22.
14. ბახუტაშვილი ნ. ლარისა მოხეილის ასულ ქუთათელაძის გვერდით. კრებულში: თვალსაჩინო მუსიკოსი და პედაგოგი. რედაქტორი: გ. ტორაძე. თბილისი: განათლება, 1988, გვ. 36.
15. ახოზაძე ვ. შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. სამეცნიერო ნაშრომი №900039750843, ხელნაწერი, 1963/64, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ. 3-4.
16. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2007.
17. მშველიძე შ. სამეცნიერო სამუსიკო ექსპედიცია თუშეთში, ფშავ-ხევსურეთსა და კახეთში (1929 წ.). დღიური, ხელნაწერი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორია.
18. ხუთშაბათ გათენება. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2006. დისკი 1-50.
19. გირავში მოდგა მუცალი. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2006. დისკი 1-47.

20. თვალვა (ხევსურული ტირილი). ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2006. დისკი 1-72.
21. ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისი: პოლიგრაფი, 2007. დისკები 7, 8.
22. აღმოაჩინე საქართველო ტრადიციული მუსიკით. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. ვარშავა: PWN, 2018. დისკი 1.
23. ახოზაძე ვ. შალვა მშველიძე – ფოლკლორისტი. სამეცნიერო ნაშრომი №900039750843, ხელნაწერი, 1963/64, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა. გვ. 2.
24. არაყიშვილი დ. სვანური ხალხური სიმღერები. თბილისი: ხელოვნება, 1950.
25. ახოზაძე ვ. ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული. თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1957.
26. შალვა მშველიძის სანოტო მასალის კატალოგი (შედგენილი ნანა კალანდაძის მიერ). ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი.
27. Аракишвили, Д. Обзор народной песни Восточной Грузии. Тбилиси: Государственное издательство ГССР, 1948. გვ.: 3-4, 5, 8-9, 11-12.
28. ასლანიშვილი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II. თბილისი: ხელოვნება, 1956.
29. ასლანიშვილი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II. თბილისი: ხელოვნება, 1956. გვ.: 102, 103.
30. ქართული ხალხური სიმღერა. ტომი I. რედაქტორ-შემდგენელი: გრ. ჩხიკვაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960.
31. ქართული ხალხური სიმღერა. ტომი I. რედაქტორ-შემდგენელი: გრ. ჩხიკვაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960. გვ. XV.
32. ზუმბაძე ნ. ხევსურული სიმღერის მრავალხმიანობის საკითხისათვის. ტრადიციული მრავალხმიანობის მეთერთმეტე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2024, გვ. 124-125.
33. ქართული ხალხური სიმღერა. ტომი I. რედაქტორ-შემდგენელი: გრ. ჩხიკვაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960. გვ.: XV, XVIII.
34. Гоготишвили, В. Пшавские народные песни (на материале неопубликованных напевов, записанных Ш. Мшвелидзе). წერილების კრებულში: ქართული ხალხური მუსიკის თეორიული საკითხები. რედაქტორები: დ. არუთინოვი-ჯინჭარაძე, გ. ტორაძე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2011, გვ. 101, 102.

მიღებულია: 2025-08-27

სტატია შეიცავს 1 ფოტოსურათს და 8 სანოტო მაგალითს.